

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალები და პანდემია

ნაწილი კობიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანული კობიძე

26.06.2022

მადლობა

მინდა მადლიერება გამოვუხატო ჩემი კვლევის ხელმძღვანელს პროფესორ ჯანა ჯახავახიშვილს გაწეული დახმარებისთვის, რჩევებისთვის და უკუკავშირისთვის. მადლობა მას ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩენილი მხარდაჭერისთვის და თანამშრომლობისთვის.

ასევე, მინდა მადლიერება გამოვუხატო კვლევის რესპოდენტებს გაწეული დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

კონტექსტი: კოვიდ-19-ის პანდემიამ მსოფლიოში გამოიწვია უპრეცედენტო ცვლილებები. კვლევების მიხედვით, ვირუსმა და ვირუსის მართვის მიზნით მსოფლიოს ქვეყნებში განხორციელებულმა რეგულაციებმა გამოიწვია მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. შესაბამისად, ფსიქიკური ჯანმრთელობა გახდა უფრო აქტუალური. პანდემიის პერიოდში გაიზარდა მომართვიანობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში და ამავდროულად, შეფერხდა პირისპირ რეჟიმში მუშაობა.

კვლევის მიზანია დაადგინოს პანდემიის პერიოდში მუშაობასთან დაკავშირებული ცვლილებები ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) პროფესიონალთა ორ სხვადასხვა ჯგუფში - გავრცელებული ფჯ პრობლემების სერვისში და, ნეიროგანვითარების სერვისში მომუშავე პროფესიონალებში; კერძოდ, თუ რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ ისინი, როგორი იყო მათი გამკლავების სტრატეგიები და პანდემიის ვითარებასთან შეგუების დინამიკა.

მეთოდოლოგია: კვლევა ჩატარდა თვისებრივი მიდგომით, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით და მასში მონაწილეობა მიიღო 17-მა ფჯ პროფესიონალმა, ორი განსხვავებული სერვისიდან (გავრცელებული ფსიქიკური აშლილობების და ნეიროგანვითარების დარღვევების სერვისები). მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის მეთოდით, კერძოდ - თემატური ანალიზით.

შდეგები: პირისპირ მუშაობიდან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა დასახელდა, როგორც სამუშაოსთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევა. სამუშაო სივრცისა და ჩარჩოს დარღვევა და თანამშრომლებთან ემოციური ვენტილაციის დეფიციტი აღმოჩნდა ყველაზე ინტენსიური სტრესორები. გამკლავების სტრატეგიებს შორის ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა თანამშრომლობა და გუნდურობა. კვლევის საფუძველზე გამოიყო პანდემიის პერიოდში მუშაობასთან შეგუების შემდეგი ფაზები: შფოთვა და გაურკვეველობა (1), მიღება (2) და ადაპტაცია (3). დისტანციური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად აღქმის ფონზე, რესპონდენტებმა აღნიშნეს ამ რეჟიმში მუშაობის არაერთი დადებითი მხარე. გავრცელებული ფჯ პრობლემების სერვისის

თანამშრომლებისთვის ეს იყო სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქცევითი თერაპევტებისთვის კი მშობლის გაზრდილი ჩართულობა. უარყოფით მხარეებში ორივე ჯგუფმა დაასახელა ტექნიკური სირთულეები და სერვისის ფორმატის შეუსატყვისობა გარკვეული თერაპიული ტექნიკებისთვის. დამატებით, კონსულტანტებმა მიუთითეს ონლაინ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები და ტექნიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა ხანდაზმულთა ასაკობრივი ჯგუფისათვის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალების კეთილდღეობაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებისთვის პანდემიის დროს.

სამიუბო სიტყვები: კოვიდ-19, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალები, გამკლავების სტრატეგიები

Abstract

Context: The Covid-19 pandemic has caused unprecedented changes in the world. According to studies, COVID-19 related threats and corresponding regulations led to deterioration of mental health situation locally and globally. Consequently, mental health gained increased importance. During the pandemic, referrals to mental health services increased while face-to-face service provision became restricted.

Objective of the study: The study explores changes related to service-provision during the pandemic in the two different groups of mental health (MH) professionals – those who work in common MH service (1) and those who work in neurodevelopmental service (2). In particular, the study reveals challenges they faced, coping strategies used in response to those challenges, and the dynamics of adjusting to service-delivery in the pandemic situation.

Methodology: The study used qualitative approach: a round of in-depth interview was conducted with the 17 MH professionals from two different (common mental disorders and, neurodevelopmental disorders) services. The data were processed by content analysis method, in particular - thematic analysis.

Results: Switching from face-to-face work to online mode of service-delivery has been cited as a major work-related challenge by the respondents. The lack of contact and emotional ventilation between employees turned out to be the most intense stressors. Intensified cooperation and teamwork were found to be the most common coping strategies. The study identified the following phases of adjustment to the changed conditions of work: anxiety and uncertainty (1), acceptance (2), and adaptation (3). Besides challenges, the respondents mentioned a number of positive aspects related to online service-provision: of working in this mode. Common MH service representatives stressed increasing access to services for their clientele, while behavioral therapists noticed increased engagement of parents during the course of online therapy. Technical difficulties, irrelevance of online format for certain therapeutic techniques, safety risks associated with working online and limited accessibility of online mode of communication for older age group were named as negative aspects of online service-provision.

The results of the study are important for taking into consideration the factors influencing well-being of mental health professionals during pandemics.

Key words: Covid-19, Mental Health, Mental Health Services, Mental Health Professionals, coping strategies